

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

**სტამბოლში ქართული წიგნის ბეჭდვის  
ისტორიიდან**

დიდი ქართველი მამულიშვილისა და სასულიერო მოღვაწის პეტრე ხარისჭირაშვილის თაოსნობითა და აქტიური პრაქტიკული ძალისხმევით XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში სტამბოლში დაფუძნებული კათოლიკური ქართული ეკლესია იმთავითვე იქცა ჩვენი სულიერი კულტურის მძლავრ საზღვარგარეთულ კერად. ამ საქმის რეალურად განხორციელებას არსებითად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ ხსენებული სასულიერო ცენტრის ბაზაზე ქართული სტამბაც იქნა დაარსებული.

აღნიშნული სტამბის გახსნამდე პ. ხარისჭირაშვილს საამისო გამოცდილება უკვე ჰქონდა შეძენილი ვენეციაში მღვდელმსახურების პერიოდში. იქ იგი არა მარტო უბრალოდ დაინტერესდა ამ საქმის შესწავლით, არამედ მესტამბეებს ქართული შრიფტებიც ჩამოასხმევინა და 1855 წლიდან ქართული წიგნების ბეჭდვასაც მიჰყო ხელი. კერძოდ, პ. ხარისჭირაშვილის ინიციატივითა და დაფინანსებით სწორედ ვენეციაში არის დაბეჭდილი ისეთი ქართული წიგნები, როგორებიცაა: „ისტორია გინა მოთხრობა სამლო წერილისა ძველისა და ახალის აღთქმათა“ (1858 წ.), „წმინდანების ცხოვრება“ (1859 წ., შედგენილი არქიმანდრიტ ლუკა ინჯიჯიანის მიერ), „იგავნი იეზუბოს ფილასოფოზისანი თარგმნილი და გამოცემული ქართულსა ენასა ზედა სასარგებლოდ ივერიისა“ (1859 წ., წიგნი პირველი), „შემოკლებული სწავლა ყოვლად საჭირო უწინარეს ყოველთა სწავლათა“ (1860 წ.).

სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობით პ. ხარისჭირაშვილის ამგვარმა დაინტერესებამ კიდევ უფრო ფართო მასშტაბები შეიძინა სტამბოლში მისი მოღვაწეობის პერიოდში. თავისი ამ საქმიანობით მან კიდევ ერთხელ დაადასტურა ის ფაქტი, რომ იგი მხოლოდ სასულიერო პირი არ ყოფილა და თავისი მრავალმხრივი და მეტად ნაყოფიერი მოღვაწეობით ყველაფერს აკეთებდა ქართული ცნობიერებისა და თვითშეგნების განსამტკიცებლად.

პ. ხარისჭირაშვილის უდიდეს ღვაწლს ზემოთქმული თვალსაზრისით მისი არაერთი თანამედროვე აღნიშნავს უღრმესი პატივისცემითა და მოკრძალებით. მაგალითად, ვინმე მესხის ფსევდონიმით ცნობილი ივანე გვარამაძე, რომელიც არაერთგზის გამხდარა პ. ხარისჭირაშვილის დიდ სასულიერო და მამულიშვილურ საქმეთა უშუალო თვითმხილველი, ერთგან აღფრთოვანებით წერდა: „ეკალში ვარდი ამოვა, რუსხმულში და წყლის ნაპირებზე - შრომანი, მინდორ-ვეღზედა ყვავილი. ჩვენს გაღატაკებულს დროშიაც ზომ აღმოგვიჩნდა პეტრე ხარისჭირაშვილი!“

მამულიშვილური ენთუზიაზმით გულანთებულმა პ. ხარისჭირაშვილმა სტამბოლის კათოლიკურ ეკლესიასთან ქართული სასწავლებლის რეალურად ამოქმედების შემდეგ, 1870 წელს, უკვე ქართული სტამბის გახსნაც შეძლო და გარდაცვალებამდე (1890 წ.) ამ საქმესაც უძღვებოდა ჩვეული შემართებით (ზ. კიჭინაძემ სტამბოლის ქართული სტამბის დაარსების თარიღად მოგვიანებით 1872 და 1876 წლებიც დაასახელა. იხ. მისი წიგნი: ქართული სტამბები 1627-1916 წლებში, გვ. 163 და 325).

ამ საქმის პრაქტიკულ გაკეთებას წინ უძღოდა მეტად რთული და შრომატევადი სამუშაოს შესრულება. კერძოდ, „ჩამოასხმევინა სრულიად ახალი ყალიბები, ვენეციის ასოს მინაგვარათ, მაგრამ საკმარისათ თავის ხასიათის მექონი, შეიძინა ყოველივე იარაღი სტამბისა... ვენეციიდანაც აქ გადმოიტანა ქართული ასოები, რადგანაც იქ მან მოუხერხებლად დაინახა ქართული წიგნების ბეჭდვა, ვენეციიდან ამან ქართული ასოები სულ გადმოიტანა, ისე რომ იქ აღარაფერი დასტოვა...“

სტამბაში მუშაობა დააწყებინა თავისავე მოსწავლეებს და ძმებს. რამდენიმე ხნის შემდეგ ფრანციის ქალაქ მონთობანშიც დააარსა ქართული სტამბა, სადაც წიგნების ბეჭდვაც დააწყებინა“ (ზ. ჭიჭინაძე, 1895, გვ. 65).

საევანეში მოღვაწე სასულიერო პირები გამუდმებით ზრუნავდნენ სტამბის ტექნიკური მხარის გასაუმჯობესებლად და ახალი დანადგარების შესაძენად. ნათქვამის დასტურად უაღრესად საინტერესოა მ. თამარაშვილის ფონდში მოძიებული ის დოკუმენტური მასალები, რომელთაც მონთობანის ქართული სტამბის შესახებ დაწერილ თავის ნაშრომში იმოწმებს ი. ტაბალუა (მაცნე, 1978, №2, გვ. 170). კერძოდ, 1899 წლის 15 აგვისტოს სტამბოლის ქართული საევანის იმჟამინდელ წინამძღვარს ა. ხითარიშვილს მ. თამარაშვილისთვის ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნია: „უეჭველი არის გესიამოვნებათ შემდეგი: პ. ანდრეას მონთობანში ყოფნის დროს შემოსწირა მონასტერს ერთმა ფრანკუზის დედაკაცმან კარგი ახალი სისტემა ტიპოგრაფიისა და პ. სტეფანე რა ჩავიდა მონთობანში, უნდოდა გაეყიდა; მე სასწრაფოდ მივწერე, რომ აქ გამოეგზავნა და ახლა აქ ვამართვინებ, რომ მონასტერს ჰქონდეს ერთი კარგი ინსტრუმენტი გამოსაცემად გვარის სასარგებლო წიგნებისა“.

აღნიშნული საბეჭდი მანქანა 1899 წლის სექტემბერში მართლაც ჩამოუტანიათ და დაუმონტაჟებიათ სტამბოლის ქართულ საევანესთან არსებულ სტამბაში, რითაც მნიშვნელოვანწილად გაუუმჯობესებიათ წიგნების ბეჭდვისა და გამოცემის საქმე.

სტამბოლის ქართული სტამბის ტექნიკური აღჭურვილობის განახლება 1913 წელსაც მოუხდენიათ. კერძოდ, ზ. ჭიჭინაძის ინფორმაციით, სტამბის მესვეურებს ამ წელს თბილისიდან „ასი მანეთის ქართული ახალი ასოები გაუწერიათ“. ხსენებული სტამბის იმჟამინდელი თავკაცი სოლომონ ვადაჭკორია „თფილისის სტამბის ასპარეზზედ ხელოსნობით კარგად ცნობილი“ და თავის საქმეში ღრმად განსწავლული პიროვნება ყოფილა (ზ. ჭიჭინაძე, 1916, გვ. 319).

როგორც ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით გაარკვია შ. ლომსაძემ, პ. ხარისჭირაშვილს საგამომცემლო საქმე იმდენად მაღალ დონეზე ჰქონია მოწესრიგებული, რომ გამოსაცემი წიგნების ავტორებსა და მთარგმნელებს თურმე ჰონორარსაც კი აძლევდა (ხარისჭირაშვილის გამოთქმით, „შეთხზვის ხარჯსა“ და „თარგმნის ხარჯს“). ამასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოა ქვემოთ დამოწმებული ის წერილი, რომელიც ივანე გვარამაძისათვის გაუგზავნია მას 1877 წელს: „მიახლება თქვენთვის 25 მანეთი. აქედან 5 მანეთი დაიჭირეთ წ-ა ესტატის ლექსებისათვისა, 10 მანეთი წ-ა ეგნატის რვა დღის წურთვისათვის და 10 მანეთი როტორველის წიგნისათვის, რომელიც უნდა დასთარგმნოთ“ (შ. ლომსაძე, 1984, გვ. 155).

ზემოთ ხსენებული საარქივო დოკუმენტებიდან ისიც ირკვევა, რომ

გამოსაცემი მასალის შერჩევის დროს გამომცემელთა ერთი ნაწილი თეოლოგიური ხასიათის წიგნებთან ერთად განსაკუთრებულ დაინტერესებას ე. წ. „სახალხო წიგნების“ მიმართაც იჩენდა, კერძოდ, სასწავლო და საყოფაცხოვრებო ხასიათის მჭონე ისეთი წიგნებისადმი, რომლებიც მნიშვნელოვან პრაქტიკულ როლს შეასრულებდნენ ფართო მოსახლეობის განსწავლის საქმეში. ამ მიმართულებით საქმიანობის გააქტიურებას ისინი იმდენად მნიშვნელოვნადაც კი თვლიდნენ, რომ ამის გაკეთებას ზოგიერთი მათგანი თეოლოგიური ხასიათის წიგნების ბეჭდვაზე სასარგებლო საქმედაც მიიჩნევდა.

აი, რას წერს ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით სტამბოლის სტამბა-გამომცემლობის ერთ-ერთი თანამშრომელი პავლე კალაიჯიშვილი: „იმისათვის, რომ ქართულს ენაზედ მოლაპარაკე კათოლიკეები ძალიან ცოტანი არიან და მათგანაც ხუთი წილი უსწავლელია და დარბი“, პ. კალაიჯიშვილის მტკიცებით, გამომცემლობას თეოლოგიური ხასიათის წიგნების გამოცემა უნდა შეემცილებინა. მისი აზრით, „საქართველოს ამ დროში უფრო სახალხო წიგნები სჭირდებოდა, მაგრამ არა იმისთანები, რომლებშიც არავითარი აზრი და მიზანი არ არის თუ არ ყველფა ხალხისა. არა, ბატონო... იმნაირი სახალხო წიგნები, რომ ხალხსაც უყვარდეს იმნაირი წიგნების კითხვა და სარგებლობაც მოუტანოს. ჩემის აზრით, კარგი იქნება, რომ გამოიცეს ქართული გრამატიკა, მაგრამ ახალი ენისა, მოკლე ისტორია საქართველოსი, მოკლე გეოგრაფია საქართველოსი, თუ შეიძლება კარტებიც, საღმთო ისტორია მოკლე, სათემო ისტორია მოკლე და მისი გეოგრაფია, საქრისტიანო მოძღვრება მოკლე განაკვეთი და არა ასრე ყრუ. ბუნებითი საგნების განმარტება, რაც კაცს გარეშე არტყია, ესე იგი მოკლე წიგნებით და ცალ-ცალკე: ბოტანიკა, ასტრონომია, ზოოლოგია, ხიმია, ფიზიკა და გეოლოგია“ (შ. ლომსაძე, 1984, გვ. 157).

მიუხედავად იმისა, რომ პ. კალაიჯიშვილისა და მისი თანამოაზრეების თვალსაზრისს პ. ხარისჭირაშვილი ბოლომდე არ ეთანხმებოდა, რის გამოც მათ შორის გარკვეულ წინააღმდეგობასაც უჩენია თავი, მათი სურვილი მხოლოდ სურვილად არ დარჩენილა და, როგორც სტამბოლში დაბეჭდილი წიგნების ჩვენთვის ცნობილი ჩამონათვალითაც დასტურდება, ხსენებულ გამომცემლობას ზემოთ აღნიშნული „სახალხო წიგნებიც“ საკმაო რაოდენობით აქვს გამოცემული.

მოყოლებული 1870 წლიდან მეოცე საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებამდე სტამბოლის ქართულ სტამბაში ათეულობით ქართული წიგნი დაიბეჭდა. მართალია, მათი დიდი ნაწილი სასულიერო ხასიათისაა, მაგრამ მათ შორის ისეთი წიგნებიც საკმაო რაოდენობით გვხვდება, რომელნიც სასწავლო, მხატვრული, ისტორიული და პოლიტიკური ხასიათის გამოცემებს წარმოადგენენ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მეოცე საუკუნის ათიან და ოციან წლებში დასტამბული წიგნები. როგორც ამ გამოცემათა სახელწოდებებიდანაც ნათლად დარწმუნდება მკითხველი, სტამბოლის ქართული სტამბა-გამომცემლობის მესვეურები არა მარტო უბრალოდ ადევნებდნენ თვალს საქართველოში იმხანად მიმდინარე მოვლენებს, არამედ მათ მიერ გამოცემული წიგნებით სათანადო შეფასებებსაც აძლევდნენ კიდევ ყველაფერ ამას. ამ შემთხვევაში მრავლისმთქმელი ისიცაა, რომ ხსენებულ გამოცემათა ბევრმა ავტორმა (ნ. ჟორდანიამ, პ. სურგულაძემ, მ. წერეთელმა, ა. მანველიშვილმა, ნ. მიწიშვილმა...) სტამბოლში დასტამბული მათი წიგნები სწორედ იქ ყოფნის

პერიოდში დაწერა.

სამწუხაროდ, პ. ხარისჭირაშვილმა და მისმა თანამოსაქმეებმა თავიანთი დიდი პატრიოტული ჩანაფიქრის ბოლომდე განხორციელება ვერ შეძლეს და ბევრი წიგნი, განსაკუთრებით სასწავლო დანიშნულებისა, დარჩათ გამოუცემელი. ამ გარემოების განმაპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად ის ფაქტი იქცა, რომ, მიუხედავად დიდი მონდომებისა, პ. ხარისჭირაშვილსა და მის თანამოსაქმეებს მათ მიერ გამოცემული წიგნების საქართველოს სკოლებში გავრცელების უფლება არ მისცეს. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით ივ. გვარამაძე: „დაბეჭდა და გამოსცა მეტად სასარგებლო წიგნები, მაგრამ ჩვენდა დიდათ სამწუხაროთ საამისოთ ვერა ვსარგებლობთ ამ ძვირფას წიგნებიდგან, მაგრამ ბრალი, დანაშაულობა ჩვენის გონების გაუხსნელობისა არის და არა მისი. ჭერ კიდევ ვერ გამოვსულვართ უმეცრების ღრმა ძილისაგან“.

სტამბოლში გამოცემული სახელმძღვანელო წიგნებისათვის წამძღვარებულ წინასიტყვაობაში პ. ხარისჭირაშვილი სათანადო განმარტებას აწვდის მკითხველს იმ მიზანდასახულობის შესახებ, რასაც მისი ეს გამოცემები უნდა მომსახურებოდნენ. პირველი და უმთავრესი ამ შემთხვევაში იმ სიცარიელის შევსების პატრიოტული სურვილი იყო, რასაც ქართულ სინამდვილეში სასწავლო ხასიათის წიგნების უდიდესი ნაკლებობა აჩენდა. „დიდი ხნის აქეთ, - წერდა იგი, - მწუხარეს გულით ვხედავდით, რომ არა იპოვებოდნენ ქართულს-ენაზე დასტამბული სასარგებლო და გამოსადეგი წიგნები და ამით ყოველიფერი მოკლებული იყო სწავლის საშუალებისაგან. მთელი საქართველოს საზოგადოების ფრიად უდიდესი ნაწილი, იგი, რომელმაც ქართული ენის მთელი სხვა ენა არ იცის. წიგნების უქონლობა უფრო შესამჩნევ გულ დასაწველი იყო სასოფლო სკოლების მდგომარეობისა“.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საქმის პრაქტიკული მოგვარება და შესრულებული ხასიათის წიგნების გამოცემა დიდ ხარჯთან იყო დაკავშირებული, როგორც პ. ხარისჭირაშვილი წერს, სტამბოლის მონასტრის „სამონაზვნო საზოგადოების მონასტრებრივმა ერთობამ“ მაინც შეძლო ამ მიმართულებით რეალური წარმატების მოპოვება. თავად პ. ხარისჭირაშვილის თქმით, „თუმც ამ წიგნების გამოცემეს დიდი გროვა ფული და ძალა დასჭირდა, მაგრამ რადგან ჯერად მიგვაჩნდა საქართველო და გვექონდა ნატვრა მისდამი სამსახურის ჩვენისა, გოველ ნაირი მძიმე შრომა და ნაწარმოების მსხვერპლი თავზედ ავიღეთ, რათა მისცემოდა საქართველოს საზოგადოებას შემწეობა და წარმატება სწავლაში და მისს მომავალ ახალ თაობასაც საშუალება მეცნიერებაში“.

იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნეს სტამბოლის საგანესთან არსებული სტამბა-გამომცემლობის დიდმნიშვნელოვან საქმიანობაზე, კონკრეტულად დავასახელებ მის მიერ გამოცემული იმ წიგნების მკარე ნაწილს, რომლებიც დღევანდელი თვალსაზრისითაც არიან უაღრესად საინტერესონი:

ისტორია საზოგადო, 1877 წ.

ყვავილების კონა გინა რჩეული ლექსები, მღვდელი გვარამაძე, 1878 წ.

მოკლე ფილოსოფია გინა სიბრძნის მოყვარეობა, 1880 წ.

„მზა პასუხი“ სომხურ გაზეთ „მშაკის“ შესახებ მის, რომ ქართველებს არა აქვთ მდიდარი წარსული, მოქალაქეობა, ისტორია, მწერლობა, სამოციქულებელი ეკლესია და სხვანი, 1882 წ.

პეტრე სურგულაძე, საქართველოს თავისუფლებისაკენ, 1917 წ.

პეტრე სურგულაძე, დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა, 1918 წ.

პეტრე სურგულაძე, საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, 1918 წ.

პავლე ინგოროყვა, საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, 1918 წ.

რ. ჟანენი, ქართველები იერუსალიმში, ფრანგულიდან თარგმნა შალვა ვარდიძემ, 1921 წ.

ევგენი დალეჯიო დალესიო, ქართველები კონსტანტინეპოლში, ფრანგულიდან თარგმნა შალვა ვარდიძემ, 1921 წ.

ქართველო ქრისტიანებო, შეერთდით! 1922 წ.

ნოე ჟორდანიას, ბრძოლის საკითხები, 1923 წ.

ვანო ალიხანიშვილი, რამ დაგვლუბა და რა გვიხსნის, 1923 წ.

ნიკოლო მიწიშვილი, შავი ვარსკვლავი, ლექსები, გამოცემის წელი მითითებული არ არის. გამოცემული უნდა იყოს 1923 წ.

მიხეილ წერეთელი, ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია, კულტურა, 1924 წ.

გილგამეშიანი, ბაბილონურ ტექსტიდან თარგმნილი მ. წერეთლის მიერ, 1924 წ.

პავლე მოსულიშვილი, შენ ხარ მზე, ოთხმოქმედებიანი ფანტასტიკური ეტიუდი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებიდან, 1924 წ.

ალექსანდრე მანველიშვილი, ვეფხისტყაოსანი და რუსთაველის ზნეობრივი იდეოლოგია, 1933 წ.

მიუხედავად იმისა, რომ სტამბოლში გამოცემული ქართული წიგნების ბოლომდე ზუსტად და სრული საბით აღნუსხა მათი ძნელად ხელმისაწვდომობის გამო ვერ ხერხდება, ერთი უმთავრესი ტენდენცია ჩვენთვის ცნობილი გამოცემების სახელწოდებათა გაცნობით მაინც იკვეთება ნათლად და აშკარად.

XIX საუკუნეში გამოცემული წიგნების უდიდესი ნაწილი, უწინარეს ყოვლისა, სასულიერო ხასიათისაა. მათ შემდეგ მოდის სასწავლო-საგანმანათლებლო დანიშნულების მქონე ე. წ. „სახალხო წიგნები“. რაც შეეხება მხატვრული, ისტორიული და სამეცნიერო ხასიათის წიგნებს, მათი გამოცემით აღნიშნულ პერიოდში გამომცემლობის მესვეურები შედარებით ნაკლებად ინტერესდებიან.

გასული საუკუნის ათიანი წლების მეორე ნახევრიდან კი, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი წიგნების სათაურებიდანაც თვალნათლივ ჩანს, ვითარება იმდენად რადიკალურად იცვლება, რომ სტამბოლის სტამბა-გამომცემლობის მიერ გამოშვებული წიგნების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე იმჟამინდელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემებისადმი მიძღვნილი. ჩემი აზრით, სტამბოლელ გამომცემელთა საქმიანობაში მომხდარი ამგვარი მკვეთრი გარდატეხა იმ პოლიტიკური მოვლენებით იყო განპირობებული, რომელთაც არსებითი როლი შეასრულეს იმდროინდელი საქართველოს ისტორიაში.

თუმცა ამგვარი ეროვნულ-პოლიტიკური აქტიურობა ქართული საგანის მღვდელმსახურებისა და გამომცემლობის მუშაკთათვის არც მანამდე რომ არ ყოფილა უცხო მოვლენა, ეს თუნდაც ამ ფაქტითაც დასტურდება ნათლად და არაორაზროვნად:

გაზეთ „დროების“ ინფორმაციით (1885 წ. №182), სტამბოლის ქართული სავანის მღვდელმსახურებს სომხური გაზეთის - „მშაკის“ 1882 წლის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულ ანტიქართულ წერილში გამოთქმულ ცილისწამებათა გამოსაშვარავებლად „ერთი ახალი პატარა წიგნი გამოუციათ“, რომლის ავტორიც სათანადო „ისტორიულის ცნობებით... ამტკიცებს, რომ ქართველები თავიანთის წარსულის ცხოვრებით, შესანიშნავ კველმოქმედებით, მწერლობით და ისტორიით სულაც არ ჩამოუვარდებიან სომხებს და ქართული „ვეფხისტყაოსანი“ მთელს მათ მწერლობასა სჯობიან“. „დროების“ მიერ მოხსენიებული ზემოთ აღნიშნული წიგნი სტამბოლის სტამბა-გამომცემლობამ 1882 წელს დაბეჭდა სახელწოდებით „მზა პასუხი“ სომხურ გაზეთ „მშაკის“ შესახებ მის, რომ ქართველებს არა აქვთ მდიდარი წარსული, მოქალაქეობა, ისტორია, მწერლობა, დამოუკიდებელი ეკლესია და სხვანი“.

იმ სასულიერო პირთაგან, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი სტამბოლის ქართული სტამბის რეალურად ფუნქციონირების საქმეში, გარდა პეტრე ხარისჭირაშვილისა, ასევე უნდა გავიხსენოთ კონსტანტინეპოლის მონასტერში მოღვაწე ქართველი ღვთისმსახურები: ალექსანდრე მირაქოვი, ათანასე ნასყიდოვი, ალფონს ხითარიშვილი და სხვები.

სტამბაში ასოთამწყობებად და სხვა პრაქტიკული საქმეების შემსრულებლებად ძირითადად ეკლესიასთან არსებული სასწავლებლების მოსწავლეები მუშაობდნენ. თავიდან მათ იქვე ასწავლიდნენ ხელობას, შემდეგ კი უშუალოდ რთავდნენ მუშაობის პროცესში. იმის გამო, რომ ხსენებულ სტამბაში ღროდადრო არაქართულენოვანი წიგნებიც იბეჭდებოდა, შეგირდებს თურმე უცხო ენებზე ბეჭდვასაც ასწავლიდნენ.

კონსტანტინეპოლის ქართულ მონასტერთან პ. ხარისჭირაშვილის მიერ 1870 წელს გახსნილი სტამბა 70-იანი წლების ბოლოს უკვე იმდენად გაფართოებულა და გაძლიერებულა, რომ იგი „სრულიად დამოუკიდებელ ისეთ წარმოებად ქცეულა“, რომელსაც საკუთარი მომსახურე პერსონალი და დირექტორი ჰყავდა. შ. ლომსაძის მტკიცებით, ამ დროს „სტამბახანის“ დირექტორი ყოფილა ანტონ ვოზალიშვილი (შ. ლომსაძე, 1979, გვ. 73).

ო. კასრაძის აზრით, სწორედ ეს პიროვნება უნდა იყოს ის ანთუან ჯვახალიანი, რომელიც კონსტანტინეპოლის ქართული სავანის სტამბაში დაბეჭდილი წიგნების თავფურცლებზეა დასახელებული ამ სტამბის მფლობელად. საკუთარი ქართული გვარ-სახელის ამგვარი გასომხურება, ო. კასრაძის აზრით, მას კათოლიკური სარწმუნოების მიღების შემდეგ უნდა მოეხდინა, რასაც ხშირად აკეთებდა ხოლმე გაკათოლიკებული ქართველების არცთუ მცირე ნაწილი (ეურნ. ჟანთიანი, 1981 წ. №1, გვ. 152).

სტამბოლში გამოცემული წიგნებით თურმე მარტო ქართველები კი არ ყოფილან დაინტერესებულნი, არამედ უცხოელებიც. ამის დასტურად ზ. ჭიჭინაძეს ცნობილი ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე მოჰყავს, რომელიც 1877 წელს მესთვის საგანგებოდ გაგზავნილ წერილში ქართველ მწიგნობარს „დიდის მღვდარებით“ თხოვდა, დახმარებოდა მას კონსტანტინეპოლში დაბეჭდილი წიგნების შოვნაში.

როგორც ქართულ პრესაში საკმაოდ მრავლად გამოქვეყნებული წერილებით დასტურდება, სტამბოლის სტამბა-გამომცემლობის საქმიანობით შესაბამისი

პერიოდის საქართველოშიც ძალიან ყოფილან დაინტერესებულნი. მაგალითად, გაზეთი „დროება“ (1880, №180) უცხოეთში მოღვაწე ჩვენი თანამემამულეების საგამომცემლო მოღვაწეობას ასეთ შეფასებას აძლევს: „სტამბოლისა და მონთობანის ფრანგის პატრონები დიდი მადლისა და თანაგრძნობის ღირსნი არიან ჩვენის საზოგადოების მხრით და როგორც არაერთხელ გამოგვიცხადებია, ურიგო არ იქნება, რომ ჩვენმა სასულიერო მამებმა ამ მხრით წაბადონ მათ“.

სტამბოლის შემდეგ, XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, პ. ხარისჭირაშვილისა და მისი ძმობის წევრების აქტიური ძალისხმევის შედეგად ქართველ კათოლიკეთა სავანე საფრანგეთის პატარა ქალაქ მონთობანშიც (მდებარეობს პარიზიდან 600 კმ-ის დაშორებით, სამხრეთით, მდ. ტარნის სანაპიროზე) დაარსდა და სავანის წინამძღვარმა ანდრია წინამძღვრიშვილმა პ. ხარისჭირაშვილის დახმარებით ქართული წიგნების ბეჭდვას იქაც დაუდო სათავე. მართალია, მონთობანის ქართულ სტამბას სტამბოლის სტამბა-გამომცემლობის მასშტაბები არ შეუძენია, მაგრამ ხსენებული მოვლენა მაინც მეტად მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს ქართული ემიგრანტული კულტურის ისტორიაში.

#### ლიტერატურა

„განთიადი“ 1981, №1.

გაზ. „დროება“, 1880, №180; 1885, №182.

შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები, 1979.

შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, 1984.

„მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1978, №2.

ზ. ქიქინაძე, აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი, ტფ., 1895.

ზ. ქიქინაძე, ქართული სტამბები 1627-1916 წლებში, თბ., 1916.

## AVTANDIL NIKOLEISHVILI

### FROM THE HISTORY OF PUBLISHING GEORGIAN BOOKS IN ISTANBUL

The Georgian Catholic Church established in Istanbul in the 60s of the nineteenth century by the active efforts and guidance of Petre Kharistchirashvili became strong Georgian spiritual culture centre abroad. From the start the heads of the centre founded printing press that made it possible to publish Georgian books. Before that Petre Kherischirashvili having been a priest in Venice had gained valuable experience in publishing business. He made specialists cast Georgian types of various kinds and began printing Georgian books from 1855.

From 1870s to the 30s of the 20th c. tens of books were published in the Istanbul Georgian printing press. Naturally, majority of those books were religions ones, however, there were quite a number of text-books, fiction and historical and

political themes. Unfortunately, Petre Kharistchirashvili and his friends could not realize all their wishes to publish many books they had planned to print. The process was thwarted because of the prohibition of disseminating their production in Georgia.

Apart from Istanbul Petre Karistchirashvili and his brethren established one more Georgian catholic cloister in a small town of Montobant. France by the close of 70s of 19th. c. Andria Tsinamdzgvarishvili, the head of the cloister, began publishing Georgian books in France by the active support of Petre Kharistchirashvili. Montobant Georgian printing press did not reach the scales of the Istanbul Georgian cloister publications; nevertheless this was also one of the most important facts in the Georgian immigrant culture.